



ქავკაზური პრავდა

1991
შ ა ბ ა თ ი
17
ავტობიოგრაფიკული
№ 98 (10491)
შპსი № 333

საგარეო დიპლომატიის-კომლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1991 წლის 1 მარტიდან

ინტერვიუ

მეორე დღეა რაც ქალაქის საკრებულოს სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი მერაბ კოსტავას საზოგადოების ზუგდიდის კომიტეტის თავმჯდომარე, ზვიად კატია.

დავინტერესდით რა საკრებულოს მუშაობით, რა შედეგებზე კითხვით მივმართეთ ზ. კატია:

— ბატონო ზვიად, ზუგდიდელი თქვენ გიცნობთ, როგორც ჩვენი რეგიონის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტივისტს. სანამ საუბრის ძირითად თემს შევხებოდეთ, იქნებ გაიხსენოთ თქვენი ადრეული „არაფორმალური“ მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მოვლენები.

— ტყბილი სიტყვებისათვის მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ მე მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი რიგითი წარმომადგენელი ვიყავი და რამდენადაც შემოქმედო საკუთარი წვლილი შემქონდა ამ უწყობინდეს საქმეში. უპირველესად, რასაც გავიხსენებდი, ეს არის 1988 წ. ნოემბრის იქციები, როცა ქართველმა ხალხმა საკუთარ თავში აღმოაჩინა ის ძალა, რომელიც სჭირდება საქართველოს; ქართველი ხალხის ამ დიდმა შემატებამ მომცა სტიმული, რომელმაც სულ სხვა რესურსებზე გადამიყვანა. აქედან დაიწყო ჩემი აქტიური ჩაბმა ეროვნულ მოძრაობაში.

აპრილის სისხლიან დღეებში საკუთარ თავში დავრწმუნდი, რომ მე „მოწამლული“ ვიყავი იმ „ნარკოტიკით“, რომელსაც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ჰქვია და რა რიგ მაღალფარდონად მოგვიჩვენებდა უნდა ვითხოვო, რომ მე და ჩემი მეგობრები სამშობლოს საკეთვლად ყოველგვარი თავგანწირვისათვის ვიყავით მზად. ამავდროს, შეუძლებელია არ აღვნიშნო 28 ოქტომბრის წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც ქართული ეროვნული ძალების დიდი გამარჯვებით დამთავრდა.

— ბატონო ზვიად, ქალაქის საკრებულო ძალიან ბევრს საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახე-შეცვლილ ფორმად მიაჩნია.

— არაკეთილშეგონებულად არ შეიძლება ქალაქის საკრებულოსა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის გაიგივება. ქალაქის საკრებულო

იზაციები, შთელი რიგი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით. 28 ოქტომბრის შემდეგ საქართველოს ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, კომუნისტური სტრუქტურების რღვევის, მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტის შექმნისა და თავისუფალი საქართველოს აღწერის ერა. ამ გზაზე

უნდა დავინტერესდეთ, ყველგან ისეთი მიმდევრებობა გვხვდება, რომ ამაზე მეტი პრობლემა აბარა გვექნება?— გნებავთ საკადრო პოლიტიკა; ან ქალაქის კეთილმოწყობის საკითხი... რომელი ერთი დავსახელო.

— ქალაქის საკრებულოს თავყავის თანამდებობაზე თქვენი

ლუბა ჩვენ ზოგჯერ ვცდებით, მაგრამ გამოვეთ სწორად, ამას დროზე გამოვასწორებთ. ბევრი გვაყვებდნენ რატომ ნიშნავთ კომუნისტებს თანამდებობებზე. ბატონო, ჩვენ პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების მქონე ხალხი გვიპირდებოდა. დროა შეწყდეს ქართველების დაყოფა პარტიული პრინციპის მიხედვით. ჩვენ— ქალაქის ხელმძღვანელობაზე, — ბევრია განაწყინებული, მაგრამ მერწმუნეთ ყოველი მოსახლელის დაკმაყოფილება შეუძლებელია. ჩვენ ჯანსაღი კრიტიკის წინააღმდეგები როდი ვართ, მაგრამ სიმულვით გამოწვეული ჩვენი ძაგება საქმესაც არ წაადგება. შეიძლება თამამ განცხადებად მოგვიჩვენოთ მაგრამ დღეს პრეფექტი და ქალაქის საკრებულო წარმოადგენენ ჩვენში მთავარ ეროვნულ ძალას დამოუკიდებლობის გზაზე და ეს ჩვენ უფრო მეტს გვაავალეს. მაგრამ მოსახლეობისგანაც უფრო მეტ თანადგომას სჭირდება.

ეროვნული მოძრაობა საქართველოში დღეს ჩამკვდარი როდია, ის ახალ ეტაპზეა და რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების მეტად რთულ გზას ადგას. ჩვენ, ქალაქის ხელმძღვანელობას, გვესმის თუ რა სირთულეების წინაშე დგას მოსახლეობა, მაგრამ მერწმუნეთ ამ ეტაპზე გაჭირვებისაგან დაზღვეული როდი ვართ, თუმცა მაქსიმალურად ვეცდებით მოკლე ხანში ვითარება გამოვსწორდეს.

— კითხვა რომელსაც ელოდით...

— ველოდი კითხვას პირად ცხოვრებაზე— დავიბადე და გავიზარდე ზუგდიდში. ჩემი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა თუ ფაქტი ჩემს ქალაქს მიაკვშირებს. ძალიან მიყვარს ადამიანები, თავისუფალ დროს ვუსმენ მუსიკას, განსაკუთრებით კლასიკურსა და პოპ-მუსიკას. სამწუხაროდ, არა ვარ დაოჯახებული. ვგრძნობ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც მაქსიმია ჩემი ქალაქისა და მთავრობის წინაშე.

— ბატონო ზვიად, დიდი მადლობა გულთბილი საუბრისათვის და გისურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს.

ესაუბრა გიორგი ნაყაშვილი

გვიჩრდებს თანადგომა

არც არჩევითი ორგანო, რომლის არჩევნებიც ქატიარდა დემოკრატიული პრინციპების დაცვით. ხოლო რაც შეეხება ქალაქის საბჭოს აღმასკომს, ის თუ რა რიგ „დემოკრატიულად“ იყო არჩეული, ეს ყოველმა ჩვენთაგანმა უწყის, საკრებულოს დეპუტატების უმრავლესობა ის აღამიანებია, რომლებმაც ეს დღე მოიტანეს. ვათ, რეგიონში დიდი როლი შეასრულეს კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხებაში, მაგრამ ამჟამად უფრო მეტი და გააზრებული სამუშაოს შესრულება მოუწევთ ახალ ამბულაში.

— როგორ განაწილება ფუნქციები საკრებულოსა და პრეფექტურას შორის? ძირითად და საერთო საქმეებში გააძვირებთ სიტყვებს უფლებით რომელი ხარგებლობს?

— დღესათვის ფაქტიურად პრეფექტურა ჩამოყალიბებულია, ხოლო საკრებულო ჩამოყალიბების პროცესშია. შათ შორის ფუნქციების განაწილება, ეს ის საკითხია, რომელიც ჯერ კიდევ დამუშავების სტადიაზეა და გადწყვეტას საჭიროებს. პრეფექტურისა და საკრებულოს ეს ურთიერთმოქმედება განისაზღვრებოდეს იქნება კანონით პრეფექტურის შესახებ და კანონით საკრებულოების შესახებ.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ქართველი კომუნისტებისა და კომუნისტური იდეოლოგიისადმი?

— ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული იყო მოსკოვის იმპერიული ძალების წინააღმდეგ რომლის მასშტაბობებიც ძალა იყო ბოლშევიკური იდეოლოგია. პერიფერიებში კრემლის აგენტურის ფუნქციებს ასრულებდნენ ადგილობრივი კომუნისტური ორგან-

საქართველოს კომპარტიის წარსულის მიმართ შემწყნარებლობა გვმართებს, მე არ მჭერა ქართველი კაცი. ოდესმე სულით ხორცადვე კომუნისტი ყოფილიყო. ჩვენ დღეს როგორც არასდროს, ქართველი პრაქტიკული გამოცდილების მქონე კომუნისტებისაგან დახმარებასა და გამოცდილებს განვიარებამს. ესაჭიროებთ, მსგავსე კუვებრძვით კომუნისტების ერთ ნაწილს, კითხვისა-ხლეობა წუ დაიბნევა, ესენი არიან კომუნისტების კორუპტიბული ფენის წარმომადგენლები, რომლებიც ყოველნაირად ხელს უწყობენ ეკონომიკურ საბოტაჟსა და პროვოკაციას, რითაც ფაქტიურად მეტოფე კოლონის როლს ასრულებენ. მე მჭერა, ეროვნული მოძრაობის ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე ქართველი კომუნისტები არ დაგვალბატებენ და კიდევაც დაამტკიცებენ საკუთარ პატრიოტიზმს.

— თქვენ, დიდი ხანი არ არის რაც სათავეში ჩაუდგით ქალაქის საკრებულოს. ამ საქმეში პრაქტიკული გამოცდილების მქონე წინამორბედი არ გყოლიათ. ხადიკვლის ჩადება ყოველთვის დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. რომელ პრობლემას გამოყოფდით?

— დღეს ხელისუფლებაში მყოფთა ძირითადი ბირთვი ყოფილი არაფორმალურია, რომელთა უმრავლესობა, ვთქვით სიმართლედ, ქუჩიდან და მიტინგებიდანაა მოსული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უპირველესად მხარეში ამოვიყენებთ პრაქტიკულ, გამოცდილების მქონე ადამიანებს. პრობლემებია?— რითაც არ

მოსვლის შემდეგ, რომელი საკითხი დაინტერესდით უპირველესად?

— უპირველესი პრობლემა, რომელიც დგას ჩვენი ქალაქის წინაშე და რომლითაც დაინტერესდები, ეს არის ქალაქის სურსათით მომარაგება და მართლწესრიგის განმტკიცება. სულ მოკლე ხანში პრეფექტურა შეთანხმებით გატარდება მთელი რიგი დონისიძებები ამ საკითხთა გადასჭრელად. ამავდროს ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ მოსახლეობის სოციალურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

— უახლოეს ხანებში რა რადიკალურ ცვლილებებსა და გარდაქმნებს უნდა ელოდონ ზუგდიდელი, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უკვე ნახევარ წელზე მეტია რაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა, გატარებულია რეფორმები საკადრო დარგში, ალბათ არც უნდა გაგვიჩრდებდეთ შემდგომი ეტაპი.

— ნახევარი წელია რაც მარტოა მუშაობს ქალაქის პრეფექტი ბატონი თამაზ ყორყოლიანი, რომელსაც სულ ორიოდე კაცი თუ ედგა მხარში, რადგანაც იუ რილიულად პრეფექტის სამსახური ჯერაც არ იყო ჩამოყალიბებული. ამავდროს ყველასთვის ცნობილია თუ რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ჩვენში რეფორმების გატარება საკადრო დარგში. მოსახლეობა ფსიქოლოგიურად მიეჩნევა ერთ აზრს: თუ ქალაქში რომელიღაც თანამდებობაზე დაინიშნება ადამიანი, ეს ადამიანი ან ქალაქის „პირველი კაცი“ მეგობარია, ან კიდევ ქრთამის გადახდით მოსული პაგონიათ, მაგრამ მერწმუნეთ ეს გსე როდია. თუმცა შეიძ-

საგარეო დიპლომატიის-კომლიტიკური გაზეთი

რბ გტპივა, ჩამო სოფელი?

მკითხველი დაგვიწერა, რომ ქართული სოფლის აღორძინებაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა ჩვენს ხალხს ამ ეტაპზე არა აქვს. მაგრამ ეს მრავალსიბუქი და უდრადი სიტყვა-...

სამართლიანი მოთხოვნა, რათა ჭირნახულის მომყვან გლეხებს კომპორტი თუ არა, ელემენტარულად მოწესრიგებული ყოფი...

თითო აკური სიყვარულით უნდა მივიტანოთ

—აღამიანებთან მუშაობა თქვენი წილი არ არის. მაგრამ დროს უმეხველად მოაქვს თავისი კორექტივები. ახლოდ სიტყვით ხომ არ გვუხარებთ, რა პირობა...

—ის მომენტი, რომ სიყვარულით მუშაობის რიგი სამართლებრივი მექანიზმი ჯერ კიდევ ბოლომდე დამუშავებული არ...

დროით ქალღმერთებელის სტილს და უშუალოდ მივიღეთ ფაქტთან, თუ სიტუაციასთან, რამაც ტიპიური მიაყენა მშრომელ აღამიანს. მუშაობის მთავარ...

განპირობებული ადგილობრივი ბიუჯეტის სიმწირით. ახერხებთ თუ არა დამატებითი რესურსების გამოძიებას ფინანსური ბაზის განმტკიცებისათვის?

რევი წყაროებს მოწყობის ინიციატივას. მერე რატომღაც ეს კეთილი ჩანაფიქრი განუხორციელები ღარია. ამჟამად საკრებულომ შეიღწევა ამ სმეშაობის ბოლომდე მიყვანის გეგმა...

ყოველგვარად უნდა მოხდეს მათი რეინტეგრაცია ან რეინტეგრაციის უნარი ტერიტორიაზე საბავშვო ბაღის გახსნის საქმეში, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით იფუნქციონირებს. დანარჩენს ხვალისდელი დღე გვანახებს. ბიუჯეტის განმტკიცების ათასნაირი გზა და საშუალება არსებობს და ჩვენ მას რეალურად ვხედავთ.

—დღეს, საერთო შეპირებულობის ფაქტს ახლებურ მშავენილობას იძენს საქველმოქმედო ინიციატივები. რა რეალურ ნაბიჯებს დგამს ამ მმართულებით საქრებულო?

ჩვენ უნდა ვსდროთ ესლა სხვა პარსკვლავს...

მართლაც რომ დამაწია და განუყოფელი ჩვენი სამშობლო, ჩვენი პატარა საქართველო მრავალჭირნახული მაგრამ მტერს ახასოდედს დამიანებული, ქედმოუხრელი და უდრტიანელი, მუშაობა ამაყი და გაუტეხელი მამხდურის წინაშე, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უმუხვადგებოდა დამპყრობლებს, მიუხედავად იმისა, რომ გოლგოთა და სასაქალო მუშაობა იყო პატრიოტული სულის მწარე ზედატი.

ამ დროს, როცა ჩვენი თავი ჩვენ არ გვიუფუნოდა. „მას ნულარ ვსტირით, რაც დამარბულია, რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულია; მოვიკათო წარსულ დროებზედ დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი გშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივიკეთ მომავალი ხალხს“.

ასი წლის დანგრეული ერთ დღეს არ დავწყობაო—უთქვამს ბრძენ კაცს. ერის წინამძღოლი, მხოლოდ ერთი აღამიანი ვერაფერს განდება პირდაღებული ჟრჩხულის წინააღმდეგ, თუ მას დროზე არ მიუშველა გამარჯვების ბედაურზე ამხედრებული სრულიად საქართველო.

ვიხილავთ კანონ-პროექტს საკუმრება და პირიკვნება გამოვიდა განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი საკუმრების საფუძვლების შესახებ, რომელიც აკანონებს საკუმრების შემდეგ ფორმებს: კერძო, კოლმეტურს, სახელმწიფოს.

ეს საკუმრების მართვაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების გზით ან უშუალოდ რეფერენდუმის საშუალებით.

სხვადასხვა გაზეთებიდან

ნაირგვარი ინფორმაციები


ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ამჟამინათ მოსკოვში ყოფნისას სტუმრად იყო მიწვეული ელდუარ შევარდნაძესთან, ბინაზე. საღამომ შეტად გულბობილ ატმოსფეროში ჩაიარა. სუფრა შეტწილად ქართული გახლდათ. მომდევნო დღეს ბეიკერი ახლო ვიკოსავლეოში გაემგზავრა იქაური კონსოლტური ერთობების მოსაწესრიგებლად. ხოლო შევარდნაძე—ჩვენი დეპუტატების გასაერთიანებლად.

საერთო შესტერს რადიო „თავისუფლება“ კორესპონდენტს აუკრძალეს საბჭოთა კავშირში შემოსვლა. რადიოს მოსკოველი კორესპონდენტი მარკ-დენი თვლის, რომ ამ აკრძალვის ინიციატორია სსრ კავშირის სუკო. როგორც ცნობილი გახდა, „თავისუფლება“ ამ ცოტა ხნის წინ ერთ წარდგენილ იქნა ნობელის

პრემიაზე. შესაძლოა ეს არ იყოს ერთადერთი შემთხვევა, როცა მსოფლიო საზოგადოებრიობისა და ლუბიანკის რადიომსმენელები შეხედულებანი ერთმანეთს არ ლემთხვევა გამონაკლისია. ქსოლოდ მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც ნობელის ლეტიის დამთავრების შემდეგ ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაბრუნდა შინ.

ნიენი ტავლის შრომა-გასწორების ბანაკის პატიმრებმა როგორც იქნა, შევბოთ იმოსუნტქეს: ბინა ქალაქკარეთ იქნა გადწინა. ერთერთი მიზეზი ასეთი გადაადგილებისა გახლავთ

ის, რომ ობიექტი მვენე ნარჩენებიანი საწარმოს ახლოს იმყოფებოდა. რაც შეეხება ბანაკის კედლებს, მისმა მცხოვრებლებს, ამდგარი სასიკეთო ღონისძიებების გემო მათ ვერ არ უგრძენიათ.



ერთი სოფლის ლოკალიზაციისათვის

სამეგრელოს (ერძოდ ზუგდიდის აქანის) სოფლების ისტორიის საფუძვლებზე წყაროს წარმოადგენს „სადავოს გამოხატული მოსაქრეულობის დავთარი“, რომელიც 1616-1621 წლებს შორისაა შედგენილი. ამ წყაროში მოხსენიებულია ზუგდიდის შემოგარენში მდებარე სოფელი ჩოხატაძე. ამ სახუთის მიხედვით სოფელ ჩოხატაძეში ციხის ტაძარს ეკუთვნოდა 14 კომლი ყმა გლეხი, 5 კომლი მსახური და სასახლე „მიმდგომი კაცები“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ. 1970, გვ. 465-474). მათ შორის 5 კომლი ქორების გვარისაა, თითო კომლი კოღარია, ადამელა (ადამელავა), ხვანია, ხვიჩია, ფარცხალა, ჩაკაბუღია და ვარდია.

ამ გვარებიდან ნაწილი დღეს აღარ არსებობს, ზოგიც ფონეტიკურად სახეშეცვლილად დღემდე მოდრეულია. ასეთებია, მაგალითად — ქორია (დღევანდელი ქორია), კოღარია (ქაღარია), ფარცხალა (ფარცხალავა).

ზემოთ დასახელებულ წერილობით წყაროში ჩოხატაძის ლოკალიზაციისათვის ხელისაყობი ცნობაა დაცული: „წარმდგომი სპენ ანარისს დღეს აქეთ მდინარის ჩახართავამდის, ღარჩელისს და ჩოხატაძის სოფლისა ჰალას, სოფელს... სათემო გზას დაბლა ხმინისაჲს, ხარცხალას დღეს აქეთ ციხის ქალაქისი, სხა და აქეთ საერთო საცაიშლო კაცისა ქორთობის საყმისი მთიან-ბარიანათ ურთის სოფლის სათემოს გზას აქეთ ეწერიან-საყანაინათ საცაიშლო სოფლების გადასახადი ამ საერთო გუჯარში სცანით“ (ქმდ. III, გვ. 470).

ამ ცნობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ჩოხატაძის სოფელი, ურთას, ციხის და დარჩელს შორის მდებარე სოფელია. ის ციხის ეკლესიის „გარეშო“ სოფელია. ამაჲსთან აშკარაა, რომ ჩოხატაძის დარჩელს ეკვრის. ამაჲს უთითებენ სიტყვები „დარჩელისა და ჩოხატაძის სოფლის ჰალას...“. ვ. ბ. მათ საერთო ჰალა აქვთ.

ამ დოკუმენტის მიხედვით ჩოხატაძის მდებარეობა გამოირიცხება „ქორთობის საყმისი“, რომელშიც შედიოდა სოფლები ურთა, ახასთუმანი, ციხი, ხამისკური, ხეთა. ჩოხატაძის უმეტესად ზუგდიდ-ხეთის ძველი გზის (სათემო გზის) გადაღმა მდებარე სოფელია, ის მდინარე ჩხოუშის მარჯვენა მხარესაა. თანაც განფენილია მდინარე ჩხოუშის შენაკად ონარის დღეს შესართავსა და სოფელ დარჩელს შორის. ეს კი დღევანდელი სოფელ ქვემო კახათის მიდამოებია.

ჩოხატაძის, რომ სწორედ ქვემო კახათის ძველი სახელწოდებაა, ამაჲს არაპირდაპირ უთითებს შემდეგი გარემოებაც: სამეგრელოს ტომონიშის ხშირია—თი დაბოლოებიათ ხაჭაგორჯის სახელები. თი ძველი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს

„ადგილს“, „მამულს“, „საცხოვრისს“, „სამკვიდრებელს“.

ამგვარი ტომონიშების პირველი ფუძეები ყოველთვის ანთროპონიმებს (საკუთარ სახელებს) ან საგვარეულო სახელებს წარმოადგენენ.

ანთროპონიმული წარმოშობის ტომონიშებია მაგალითად კახათი (კახა), თეკლათი (თეკლა), გელათი (გელა), ბაღდათი (ბაღდა). საგვარეულო სახელებიდან ნაწარმოები—თი დაბოლოებიათ ტომონიშებია შონიათი (შონია), ბირიათი (ბერია), თოლორდათი (თოლორდავა) და სხვა. (პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტომონიშია, თბ. 1985, გვ. 87).

ამგვარივე წარმოებისა ჩანს ტომონიში ჩოხატაძის, რომელიც სწორედ ქვემო კახათში კომპაქტურად მოხაზულ ჩახათის საგვარეულო სახელს უნდა უკავშირდებოდეს. რაც შეეხება ოდნავ ფონეტიკურ განსხვავებას ჩოხატაძის სოფელ ჩოხატაძისა და ჩახათის ულ ჩახატ-ს შორის, ეს ადვილი ახსნელია. მეგრულს ახასიათებს ანისი და ონისი მონაცვლეობა (შედრ. კონი და მოფერებით ბაჟი). ესეც არ იყოს ამავე დავთარში, გვარსახელი ქორია დასტურდება ფორმით — ქორია, ხოლო ქაღარია ფორმით — კოღარია. ამრიგად, ჩოხატაძის ჩახათის სახელწოდება, ჩახათის სამკვიდროს აღმნიშვნელი ტომონიშია და ის დღევანდელი ქვემო კახათის ძველი, უძველესი ვითარებისაგან მივიწყებული სახელწოდებაა.

იმ იმედით, რომ ამ სახელწოდებას სოფელ ქვემო კახათის მიკროტომონიშში მინც დავადასტურებდით, ამ სოფელს ვეწვიეთ და მისი ტომონიშები ჩავიწერეთ. მაგრამ, ისეთ ლამაზ სახელწოდებებს შორის, როგორცაა ბარწაქონი (ხაძოვარი), ბელმთი (მდინარე კახათწყარის შენაკადი), ხაინი (ტყე), ნაბ-მარბ (მინდორი), კონი (ქუდი) ამაოდ ვეძებდით ჩოხატაძის სახელს.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი რამ: ჩოხატაძის ანუ დღევანდელი ქვემო კახათი ამ ბოლო დრომდე ცალკე სოფელს წარმოადგენდა, და მას, როგორც დამოუკიდებელ სოფელს თავისი სასოფლო ეკლესიაც ჰქონდა. ეს ეკლესია ამ ქვეყნად წარმოიშვა და კაცთა კვლისათვის გაჩენილა ბოლშევიკებმა 1928 წელს დაანგრიეს.

აპთანდილ თორღია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი,

ბენედიქტ ტულუში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი — ისტორიული მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი.

ჭიჭიკო წარია

გულსტრეკილით გახსენებთ, გვკლიხართ, 18 აპრილის ერთი წელი შესრულდება, რაც თქვენთვის დამახასიათებელი მოკრძალებული ღმერთი არ შემოსულხართ ჩვენს კოლექტივში, ჩვენს გვერდით არ გვეგულბო, სასიკეთო საქმისთვის არ იხარებო...

მართლაც რომ დასანანი თქვენი უდროოდ წახვლა ამ ქვეყნიდან. 47 წელი ხომ სიცოცხლის მცირე მონაკვეთია, აქედან 28 წელი რაიკოპავიშვილის კოლექტივში იწრომეთ, უკანასკნელად ინგოლის ხეატვის ბაზის ხელმძღვანელად შრომობდით.

ხალციკი გიმუშავებთ, გასასიათებლად მინდობილი საქმის საწინააღმდეგო კეთება, უსადო მგობრობა, კაცურკაცობა, არ გიყვარდათ საქმის მაკარად მიგდება, ჩქარობდით, ყველაფრის მოსწრება გეწადათ, იქნებ გრძობდით, რომ ხანმოკლე სიცოცხლე გელოდათ...

სიბოხს არ აკლებდით ოქახს, რომელიც დღეს ახე დამწუხრებულა, საფიცარ მეგობრად დაურჩით თქვენს მუშაულს — ქალბატონ ნელის, სამაჲს მამად — შეიღებეს: ეკას, ელიზას, ინგას და მერაბს.

რაიკოპავიშვილის კოლექტივის ხსოვნაში კი გერვათარის მეთაველა ვერ წაშლის თქვენს სახეს, ლამაზღმინილიანი ადამიანის ხატებას. ამხანაგბინს ჯაჲში.

მკითხველი შენიშნავს

არახალია, ძველია...

ვინ დაიფიქრა, რომ დღეს დაწერილი ჩვენი ქალაქის სისუფთავესა და სანიტარული კულტურის დაცვაზე, რა შეგონებები და მოწოდებები არ გვესმის, მაგრამ საქმე ამ მხრივ თავმოყვანილად მინც არა გვაქვს. ქუჩებისა და სკვერების სილაზაზე არაფერ ფიქრობს. ხშირად ისეთ მოუხელე ეგობებსა და ქუჩებს წააწყდები, მხანგულს გული გატკინება. სამწუხაროდ, ჩვენს გვერდით ჭერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არა თუ იღვწიან ქალაქის კეთილმოწყობისათვის, მისი იერსახის გამშენიერებისათვის, არამედ თავადვე ანაგვიანებენ და ამხინებენ ქუჩებს, ეზოებს, სკვერებს, ქმნიან ანტისანიტარიას.

იმ ერთი მაგალითი: დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ე. წ. ენკურაქისის საბავშვო ბაღის ეზოს გვერდით გზისპირა ტერიტორია ვიშოქალაქებებს ნაგავსაყრედად გადაუქცევიათ. ამ გზით ყოველდღე დადიან როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრებიც. აბა რა შთაბეჭდი-

ლება დარჩება აქაურობის მხაზველ კაცს ჩვენს ქალაქზე? ესეც რომ არა, ანტისანიტარიის ბუდეს გულგრილად უნდა შეეცქეროდეთ?

ახლა სხვა გულსატკენი ფაქტი. ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენი სახელმწიფო მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე შესანიშნავი პარკი გაშენდა, მოეწყო შადრევანი, დაიდგა სკამები, ხალხიც ბლომად ეტანებოდა აქაურობას... მაგრამ ვაგიდა ხანი და ვილაც გარეწრებმა ჭერ ღამის ნათურები დაამტკიცეს, სკამებიც მიღწე-მოღწეეს და დაიტაცეს... დღეს ეს არემარე ჩანს და პირუტყვის სეთარეშოდაა გადაქცეული. ერთი სიტყვით, დასვენების პარკი უმოქმედოა და მოუხელე...

რაც ამ წერილში ითქვა „არახალია, ძველია“. მათზე არაერთხელ აიძალდა ხმა გაზეთმა „ოლიშმა“, მაგრამ, როგორც იტყვიან, „შეაყარე კედელს ცერცი“...

სანიტარულად, როდემდე გასტანს ასე?

ბ. ალშვიანი, შრომის ვეტერანი.

გებრძოლოთ ამერიკულ თეთრ კეჭელას!

ამერიკული თეთრი პეპელა აზიანებს ასზე მეტი სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურას. განსაკუთრებით თეთრ თუთას, მსხალს, ქლიავს, თხილს, ბალს, ცაცხვს და სხვა მრავალწლიან და ერთწლიან მცენარეებს, განსაკუთრებით საშიშია მატლობის სტადიაში, რამდენიმე დღეში წრდასრულ მატლს შეუძლია მთლიანად გაანადგუროს მცენარის ფოთლები, რის შემდეგაც მცენარე ხმება.

ამერიკული თეთრი პეპელა სწრაფად მრავლდება, ჩვენს პირობებში 2-3 თაობას იძლევა წლის განმავლობაში. მატლი ზემოდაც მოშავო-მოღურჯო ფერისაა, დაფარულია გრძელი თმებით, ხოლო გვერდზე ლიმონის ფერისაა, წინა სეგმენტები სამი წყვილი, ტანსაზე კი ხუთი წყვილი ფეხი აქვს. პეპელა 1,5-მ.ს ხანტიმეტრია, გაშლილი ფრთებით, ტანის სიგრძე 1-დან 1,6 სანტიმეტრია. თავი თეთრი აქვს, კვერცხები — პატარა, გაუფხულწეროცა სადღედასისო ტიპურატურა პლუს გ გრადუსს მიაღწევს, მსხლისა და ვაშლის დავავივლების წინ ტუპრიდან გამოდიან პეპელები და იწყებენ განაყოფიერებას, ერთი დედ-

ალი პეპელა 200-დან 2000-ცალამდე კვერცხს დებს ფოთლის ქვედა მხარეზე, განსაკუთრებით — ზედა ტოტებზე ერთ მჭიდრო ფენად. 15-20 დღის შემდეგ გამოიჩვენებიან პირველი ხნოვანების მატლები და იწყებენ ფოთლის ქვედა მხარის დაზიანებას.

მეზუთე ასაკამდე მატლები ცხოვრობენ კოლონიურად, ობობინებურად ბუდეში მე-7 და მე-8 ასაკში წრდადასრულდებულნი — ბუდეში გამოდიან, მცენარის ფოთლს მთლიანად ჰკამენ, გადადიან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, ადიან ტრანსპორტზე, შეფუთულ ტარა მასალაზე სარგავი-სანამყენე მასალაზე და სხვა ასეთი საშუალებებით გადადიან და ვრცელდებიან ერთი ადგილიდან მეორეში — რაიონიდან რაიონში, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ამერიკული თეთრი პეპელის გამოხავიენებლად საქირია აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით გულდასმით ჩავატაროთ გამოკვლევა ბაღების, სანერგეების, თუთის პლანტაციების, წიწვოვნების და სხვა ნარგავების კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში, საქარშიდამო ნაკვეთებში.

ამერიკული თეთრი პეპელის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენოთ ბოლო რაგორც ქიმიური, ასევე ფიზიკური, მექანიკური და ბიოლოგიური მეთოდებით, ქიმიური პრეპარატებიდან შეიძლება გამოიყენოთ „ბი-56“ (2-8 კგ ჰექტარზე, ე. ი. 0,2-0,8 პროცენტია), იგივე დოზით შეიძლება ვიჭაროთ კარბოფოსი, მეტაფოსი, სევისი, ქლოროფოსი და სხვა ფოსფოროგანული შენერგები, ხოლო გამოყენებულ უნდა იქნას ქლოროფოსი (0,2-0,8 პროცენტია), ენტოპექტივის მშრალი ფხვნილი მაკილოგრამი ჰექტარზე, წამლობის ჩატარების დროს უნდა დავიცვათ სანიტარული წესები. თუთის წამლობის ჩატარებისას აკრძალულია თუთის ფოთლის გამოყენება აბრეშუმის ტრისათვის.

ამერიკული თეთრი პეპელას და მათი მატლების სეჭვონიშების აღმოჩენის შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა დავუკავშირდეთ სპეციალისტებს მცენარეთა დაცვის სადგურს ან მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციას.

კლ. თოღუა

მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო საბავშვო უფროსი.

პირველი წრე
19. „კოლხეთი“ ხობი — „ოდ-
იში“ ზუგდიდი.

მეორე წრე
4. „კოლხეთი-1918“ ფოთი —
„ოდში“ ზუგდიდი.

მესამე წრე
8. „გორდა“ რუსთაფი —
„ოდში“ ზუგდიდი.

შენიშვნა: თანხმად საქართველოს 1991-92 წლების მესამე ჩემპიონატის გათამაშების დებულებისა, ჩატარდება უშუალოდ...

გამოსათხრობარი
წავალა ჩვენთან ჩინებული პე-
დაგოგი და შესანიშნავი პიროვნე-
ბა ლეილა ფშახს ასული

პატივცემულ სპეციალისტებო და მოსწავლეებო!

ჩვენ, სწრაფად მზარდი ფინუ-
რი საერთაშორისო ფორმა „პამ“-
ის წარმატების მქონე ბიზნეს-
მენეჯერს, რომლის ფილიალები

- 1. მირიანაძე ანდრეას — 82
საბატი,
2. გერმანული ენა — 82
საბატი,

მსურველებმა გასაუბრებისას
უნდა წარმოადგინონ დოკუმენ-
ტები პირადად 1 სექტემბერამ-
დე:

შვილები: ცილა, რეზო, ჯემალი,
როგავენი. ძმა მიშა ქვარაია,
მული ლუბა, მუსლი ილიკო,

დედა ალიკო და აზა, ძმა ტრის-
ტანი, ძმისშვილები: ზაზა, უჩა,
ნანა ბიძები: ნოე ოქუჯავა, ლუ-

შვილები: ლუსიანე, ქუქუჩა, ეთ-
ერი, ნანული შანავები, რძლე-
ბი: მარგო, ნინო, ზოია, სიმე-

შვილები: შურა, გენე მარკოზიე-
ბი, კოლია გუგუჩია რძლები:
ნუცა მარკოზია და გული ლურ-

ბიძები გრიშა, არჩილ კერზაი-
ები, ბიკოლები მერი, ქუქუჩა,
ნაირა, ბიძაშვილები: ლეილა,

ინფორმაცია 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56, ტელეფონები: რედაქციის 2-24-80, რედაქციის მოადგილის 2-83 89, პასუხისმგებელი მდივნის 2-81-96, სოფლის მეურნეობის განყოფილება 2-21-78, მშრომელთა წერილებს 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00,

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტ.მბა, მერაბ კოსტავას ქ. 56, 2-23 07, ტირაჟი 8000 შუბ. № 2887